

Vibrio spp.-ისა და *Aeromonas spp.*-ის ბიომრავალფეროვნების შესწავლა საქართველოს წყლიან გარემოში

ნ. მითაიშვილი^ა, გ. ქაჯაია^ბ, გ. ნატროშვილი^ბ, გ. ცერცვაძე^ბ, მ. თედიაშვილი^ბ.

Nino.Mitaishvili449@ens.tsu.edu.ge

^აზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 1, თბილისი 0218, საქართველო;

^ბგ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, გოთუას ქ. 3, თბილისი 0160, საქართველო;

Vibrionaceae და *Aeromonadaceae* ოჯახის წარმომადგენლები გავრცელებულნი არიან როგორც ზღვის, ასევე მტკნარი წყლის გარემოში, წყლის ზედაპირსა და სიღრმეებში, როგორც თავისუფლად მცხოვრები პოპულაციების სახით, ასევე ზღვის ცხოველებთან, წყალმცენარეებთან და დენდტრიტად ასოციაციებად. 2006-2010 წლებში ჩატარდა მონიტორინგი საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მტკნარი წყლის რეზერვუარებში: ლისის ტბა, თბილისის ზღვა და კუმისის ტბა. წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო *Vibrio spp.* და *Aeromonas spp.*-ის გამოყოფა, იდენტიფიკაცია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონისა და მტკნარი წყლის რეზერვუარებიდან და ბიომრავალფეროვნების შესწავლა. საქართველოს წყლიანი გარემოდან სულ გამოიყო 2092 საკვლევი იზოლატი; 1869 იზოლატი იდენტიფიცირდა, როგორც *Vibrio spp.*, ხოლო 223 – *Aeromonas spp.*; კლინიკური *Vibrio spp.*-ის ბიოქიმიურად იდენტიფიცირებული შტამების 70-100% დადასტურდა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით. საქართველოს წყლიან გარემოდან იდენტიფიცირდა კლინიკური *Vibrio*-ს გვარის 11 პათოგენური სახეობა: *V. parahaemolyticus*, *V. cholerae*, *V. vulnificus*, *V. alginolyticus*, *V. metschnikovii*, *V. cincinnatiensis*, *V. holisae*, *V. damsela*, *V. fluvialis*, *V. harveyi*, *V. mimicus*; არაპათოგენური *Vibrio*-ს 8 სახეობა: *V. orientalis*, *V. marinus*, *V. pelagius*, *V. campbellii*, *V. splendidus*, *V. nereis*, *V. nigripulchritudo*, *V. natriegens*; ხოლო *Aeromonas*-ის 8 სახეობა: *A. salmonicida*, *A. hydrophila*, *A. caviae*, *A. media*, *A. veronii*, *A. schuberti*, *A. sobria*, *A. eucrenophila*; შესწავლილ იქნა მათი ბიომრავალფეროვნება, რაოდენობრივი და სეზონური განაწილება. *Vibrios spp.*-ის გამრავლებისთვის საუკეთესო სეზონები აღმოჩნდა შემოდგომა და ზაფხული, ხოლო *Aeromonas spp.*-თვის შემოდგომა და გაზაფხული.

საკვანძო სიტყვები: *Vibrio spp.*; *Aeromonas spp.*; ბიომრავალფეროვნება; საქართველოს წყლიანი გარემო;